ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

საანგარიშო პერიოდი მოიცავს 2022 წლის აგვისტოდან დღემდე საქმიანობას.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია მუშაობას ახორციელებს ადგილობრივი -აგრეთვე ხელმძღვანელობს ხარგაულის მუნიციპალიტეის საკრებულოს რეგლამენტითა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დებულებით.

კომისიის თავმჯდომარე-პავლე კიკალიშვილი.

კომისიის წევრები არიან:

1. პაატა გოგოლაძე
2. ოთარ ლურსმანაშვილი
3. ნონა ზურაბიანი
4. ეკატერინე შველიძე
5. ამირან ოქრომჭედლიძე
6. ლენა აბაშიძე
7. შმაგი ხიჯაკაძე
8. თორნიკე ავალიშვილი
9. კობა გოგსძე
10. ომარ გაგოშიძე
11. კონსტანტინე ბერიძე

საანგარიშო პერიოდში სულ ჩატარდა 14 სხდომა, როგორც რიგგარეშე ასევე მორიგი სხდომები.

კომისიამ კანონით დადგენილ ვადებში უზრუნველყო მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტზე მუშაობა.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ ბიუჯეტის პროექტის განხილვის მიზნით შეხვედრები მოვაწყვეთ საკრებულოს კომისიებთან და შეხვედრების ანალიზის შემდგომ უმრავლესობისა და უმცირესობის მონაწილეობით შევიმუშავეთ საბიუჯეტო შენიშვნები და დადგენილ ვადაში გადავუგზავნეთ მუნიციპალიტეტის მერიას.

მერიამ განიხილა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტზე საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ გამოთქმული შენიშვნები, სულ(10) და მოახდინა სათანადო რეაგირება, რომელიც შემდგომ აისახა დამტკიცებულ ბიუჯეტში. (პასუხები შენიშვნებზე თან ახლავს). შემდეგ დაემატა 2 შენიშვნა.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს (რა თქმაუნდა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის) მიერ გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით ხარაგაულის მუნიციპალიტეის 2023 წლის ბიუჯეტის ხარჯები გაიზარდა. 2023 წლის შემოსულობები განისაზღვრა 12733000 ლარით. 2022 წლის შემოსულობების დამტკიცებული ბიუჯეტისას აღემატება 2414900 ათასი ლარით.

დ.ღ.გ გაზრდილია 11,4%-ით (1093000 ლარით). საგადასახადო შემოსავლები იზრდება 1118000 ლარით.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია გეგმიურად და ბიუროს დავალებით განიხილავს ყველა იმ საფინანსო-სამართლებრივი აქტის პროექტს, რომელიც სკრებულოშია ინიცირებული.

კომისამ თავის სხდომებზე სულ საანგარიშო პერიოდში განიხილა 7 საბიუჯეტო ცვლილება, რაც გამოწვეული იყო მთავრობის განკარგულების საფუძველზე მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული და სოციალური პროგრამების მაღალი და ხარისხიან დონეზე განსახორციელებლად.

1. 09.08.2022 წლის ხარაგაულის თვითმმართველი ერთეულის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო 2021 წლის 16 დეკემბრის 24 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 5 აგვისოს 1398 და 2022 წლის 17იანვრის 75 განკარგუელბაში შევიდა ცვლილებები, ხარაგაულის მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყო 2150000 ლარი. დაემატა რამდენიმე ახალი პროექტი, გაიზარდა შემოსულობები ნაცვლად 18892831 ლარისა დაემატა 2864000 ლარი და განისაზღვრა 21756831 ლარით. გადასხდელები 22260442 ლარი იზრდება 2919137ლარით და განისაზღვრა 25179579 ლარი.

2) ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 დეკემბრის 24 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.19.10.2022 წელი.

საქართველოს მთავრობის 2022 14.01 51 განკარგულებით საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფისათვის გამოეყო მიზნობრივი ტრანსფრი 142269 ლარი. 57000 ლარი დასუფთავებასა და კეთილმოწყობას. სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრს 7000 ლარი. მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ცენტრს 10000 ლარი. სათნოების სახლს 20000ლარი. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს 9000 ლარი.

ხარაგაულის ბიუჯეტის შემოსულობები 21756831 ლარი იზრდება 142269 ლარით და განისაზღვრა 21899100 ლარით. გადასახდელები 25179579 ლარი იზრდება 142269 ლარით და განისაზრვრა 25321848 ლარით.

12.12.2022

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 04.11. 2024 განარგულებით, საკუთარი უფლებამოსილების განსახორციელებლად საქართველოში იაპონიის საელჩოსგან გამოეყო გრანტი 1864,41§ დოლარის

ეკვივალენტი ლარში. ტექნიკის შეძენა კატსტროფისადმი რეაგირებისა და რისკის შემცირებისათვის.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 იანვრის 51 განკარგულებითა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტისათვის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფისათვის ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს მარმენიოსთან სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2022 წლის 13 იანვარს გაფორმებული 19 ხელშეკრულების თანახმად, საგანმანათლებლო და სამედიცინო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტს გამოუყო მიზნობრივი ტრანსფერი 113 715, 50 ლარი 2022 წლის ნოემბრის თვეში შესრულებული სამუშაოების ასანაზღაურებლად.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2022 წლის 01.12 დეკემბრის 04-03/109677 წერილით გვეცნობა, რომ საქართველოს პარლამენტისათის წარდგენილი „საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის საბოლოო ვარიანტში დაზუსტებული 2022 წლის მაკროეკონომიკური პარამეტრების შესაბამისად პროგნოზირებული დამატებული ღირებულების გადასახადის 19 % შეადგენს 1 400 000,0 ათას ლარს, საიდანაც ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2022 წელს მიიმართება გასანაწილებელი დამატებული ღირებულების გადასახადის 0,54 % რაც ნომინალურ გამოხატულებაში შეადგენს 7 560,0 ათას ლარს 2022 წლის 01 დეკემბრამდე.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის შემოსულობებში დღგ განისაზღვრებოდა 7 3775,0 ათასი ლარით. აღნიშნულიდან გამომდინარე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში კვლავ იზრდება შემოსულობები გადასახადების ნაწილში დამატებული ღირებულებების ხარჯზე 185, 0 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2022 წლის 07/12 02 – 682 234 137 მიმართვის თანახმად, სოციალური დაცვის „ სამკურნალო და საოპერაციო ხარჯების დახმარების ქვეპროგრამაში „ მიმდინარე წელს აღებული ვალდებულებებისა ადა მედიკამენტებზე შემოსული განცხადებების რაოდენობიდან გამომდინარე დამატებით საჭირო 75,0 ათასი ლარის გამოყოფა.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შემოსულობების თერთმეტი თის გეგმა- შესრულების ჯარიმიდან, სანქციებიდან და საურავებიდან დაგეგმილი წლიური 872,1 ათასი ლარიდან მიღებულია მხოლოდ 556,2 ათასი ლარი, ე.ი 315,8 ატასი ლარით ნაკლები. დამატებული ღირებულებების გეგმის გაზრდა იძლევა საშუალებას დაზუსტდეს (შემცირდეს) ჯარიმებიდან მისაღები შემოსავლების გეგმები 1100 ატასი ლარით და განისაზღვროს 762,1 ატასი ლარი.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები 22 331 245 ლარი იზრდება 354 523 ლარით და განისაზღვრება 22 685 768 ლარით.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გადასახდელები 25 753 992 ლარი ასევე იზრდება 354 523 ლარით და განისაზღვრება 26 108 515 ლარით.

4. 27.12.2022 ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16დეკემბრის 24 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ. 1. ცვლილება შევიდა საქართველოს მთვარობის 2022 წლის 17 იანვრის 75 განკარგულებაში საქ. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი სახსრები 5 442 301 ლარი გაიზარდა 721 953 ლარით და განისაზღვრა 6 164254 ლარით.

1. ცვლილება შევიდა საქ. მთავრობის 2022 წლის 25 მაისის 926 განკარგულებაში და „მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან“ გზების რეაბილიტაციისთვის გამოყოფილი სახსრები 561746 ლარი გაიზარდა 146480 ლარით და განისაზღვრა 708 226 ლარი.

სოფელ ჩრდილში ტალახაძეების საუბნო გზის რეაბილიტაცია 59 179 ლარი და გოგნაძეების საუბნო გზის რეაბილიტაცია 87 301 ლარით.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის შემოსულობები 22 685 768 ლარი იზრდება 868 433 ლარით და განისაზღვრება 23 554 201 ლარით.

გადასახდელები 26 108 515 ლარი კი იზრდება 879 644 ლარით და განისაზღვრება 26 988 159 ლარით.

5. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმართველი ერთეულის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ხარაგაულის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის 30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29/12 2475 განკარგულებით საქაღტველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტს გამოეყო 3 643 963 ლარი. აქედან 3 619 544 ლარი გზების რეაბილიტაციის ხარჯებისათვის და 24 419 ლარი სოფ. უბისაში ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნის მოსაწყობად, რომლის დაუყონებლივი ასახვის გამო 2023 წლის 09 იანვრის 68-682 300 929 მომართის საკრებულოს ეცნობა მუნიციპალიტეტის მერის მიერ გამოცემული ბ 68 682 300 97 ბრძანების თაობაზე.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 24 76 განკარგულებით ხარაგაულის მუნიციპალიტეტს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოეყო 890 000 ლარი.

წინა წლებში აღებული ვალდებულებების დასაფარად სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ნაშთებიდან, საქაღტველოს მთავრობის სხვადასხვა განკარგულებებით, ინფრასტრუქტურის განვიტარებაზე გასანაწილებლად მიიმართოს 538 059 82 ლარი, მათ შორის:

გზების რეაბილიტაციაზე- 227 600, 72 ლარი აქედან:

საქ. მთავრობის 2018 წლის 18.01. 136 განკარგულებით- 100 000 ლ

საქ. მთავრობის 2017 წლის 27.12. 2712 განკარგულებით - 21 500 ლ.

საქ. მთავრობის 2017 წლის 27.12. 1679 განკარგულებით- 11 7455 25ლ

საქ. მთავრობის 2022 წლის 17.01. 75 განკარგულებით 89 594 63 ლ

ხიდების რეაბილიტაციაზე 27 548 91 ლარი აქედან“

საქ. მთავრობის 2017 წლის 27.12. 27 12 განკარგულებით - 9 718 91ლ

საქ. მთავრობის 2022 წლის 26.01. 131 განკარგულებით 17 830 ლარი.

კეთილმოწყობის ობიექტების (სკვერები, პარკები) რეაბილიტაციაზე- 210 221 64 ლარი. აქედან:

საქ. მთავრობის 2018 წლის 18.01 136 განკარგულებით 3275 93ლ

საქ. თავრობის 2021 წლის 16.08. 1419 განკარგულებით 206 945 71 ლარი

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით- 11 005 55 ლარი (საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15,02. 277 განკარგულებით)

სპორტული მოედნების რეაბილიტაციაზე - 61 683ლ (საქ. მთავრობის 2022 წლის 17.01 75 განკარგულებით 61 683 ლარი)

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის შემოსულობები 12 733 000 ლარი იზრდება 4533 963 ლარით, სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრასფერის ხარჯზე და განისაზღვრება 17 266 963 ლარით

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გადასახადები 14 180 ლარი იზრდება 5 072 023 ლარით და განისაზღვრება 18 252 023 ლარით.

გადასახდელების ზრდის წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრასფერი 4 533 963 ლარი და 2023 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში არსებული სახელმწიფო საბიუჯეტო სახსრების ნაშთი 538 060 ლარი.

ა(ა) ი.პ ხარაგაულდასუფთავების მიმართვის თანახმად (დან 1) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გახშირებული მეწყერული პროცესების გამო გზებზე ჩამოშლილი ქვა-ღორღისა და მიწის მასების გასაწმენდათ ტენდერის გამოსაცხადებლად საჭირო 20 000 ლარის შევსება მოხდეს მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის ხუთი თის შრომის ანაზღაურების ხარჯების ეკონომიდაან.

საქ. მთავრობის 2022 13 419.20 ლარი სოფელ ლაშის გზის სანიაღვრე არხის მოსაწყობად.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გადასახდელები 20 886 769 ლარი იზრდება 13 419 ლარით 2023 წლის პირველი იანვრისთვის არსებული სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდების ნაშთის ხარჯზე და განისაზღვრება 20 900 188 ლარით.

2023 წლის პირველი იანვრისათის საბიუჯეტო სახსრებიდან გამოყოფილია 1 379 088 ლარი. აქედან სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდების ნაშთიდან 551 488 ლარი და საკუთარი საბიუჯეტო სახსრების ნაშთიდან 827 608 ლარი.

6. საქართველოს მთავრობის 2023 წლის 07.06.10 79 გნკარგულებით ცვლილება შევიდა საქართველოს მთავრობის 20 იანვრის 116 განკარგულებაში (დან 1) და ხარაგაულის მუნიციპალიტეტს საქაღტველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით. დაზიანებული კერძო მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი სახლებისა და მრავალბინიანი სახლის გადასახურად 2023 წლის ბიუჯეტში დამატებით გამოეყო 240 000 (ორასორმოცი ათასი) ლარი.

გამოყოფილი თანხით მოხდება დიდთოვლობის შედეგად დაზიანებული მოქალაქეთა საცხოვრებელი სახლების და სახურავების აღდგენა. მათ შორის 24 444 87 ლარით მოხდა ერთი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის გადახურვის სამუშაოების შესყიდვა. დანარჩენი 215 555 13 ლარით მოხდება სტიქიით დაზარალებული მოსახლეობისათვის საჭირო მასალის შესყიდვა (გადაცემა, სამუშაეობს კი განახორციელებენ საკუარი ძალებით თანამონაწილეობის პრინციპით დან. 2)

აღნიშნულიდან გამომდინარე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის შემოსულობები 19 521 100 ლარი იზრდება 240 000 ლარით. სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერის ხარჯზე და განისაზღვრება 19 761 100 ლარი იზრდება 240 000 ლარით. სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერის ხარჯზე და განისაზღვრება 19 761 100 ლარით.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გადასახდელები 20 900 188 ლარი ასევე იზრდება 240 000 ლარით სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერის ხარჯზე და განოსაზღვრება 21 140 188 ლარით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტისათვის თანხის 29/12 24 75 განკარგულებაში განსახორციელებელი ცვლილების შეტანის შესახებ.

7. საქართველოს მთავრობის 2023 წლის 09/06 10 84 განკარგულებით ცვლილება შევიდა საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის 2475 განკარგულებაში კერძოდ ტენდერების ეკონომიის შედეგად ხარაგაულის მუნიციპალიტეტისათვის აღნიშნული განკარგულებით გამოყოფილი სახსრები 3652985 ლარი შემცირდა 6 362 ლარით. (მათ შორის გზების ხარჯები შემცირდა 4 873 ლარით. სპორტული მოედნების რეაბილიტაციის ხარჯები შემცირდა 14 89 ლარით) და საბოლოოდ 2475 განკარგულებით ამ ეტაპზე გამოყოფილი ხარჯები განისაზღვრა 3 646 623 ლარით. აქედან 3 623 693 ლარი არის გზების რეაბილიტაციისათვის გამოყოფილი და 22 930 ლარი ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნის მოსაწყობად (დან 1)

აღნიშნულიდან გამომდინარე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობები 19 761 100 ლარი მცირდება 6 362 ლარით.სახელმწიფო ბიუჯეტის

ფონდებიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერის ხარჯზე და განისაზღვრება 19 754 738 ლარით.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის გადასახდელები 21 140 188 ლარი ასევე მცირდება 6 362 ლარით სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერის ხარჯზე და განისაზღვრება 21 133 826 ლარით.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 23 იანვრის 147 განკარგულებით საჯარო სკოლების დელეგირებული უფლებამოსილების ხარაგაულის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხის 2023 წლის ბიუჯეტში დაუყოვნებლივ ასახვის შესახებ

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 23 იანვრის 147 განკარგულებით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების რეაბილიტაციისთის (სოფელ მოლითის საჯარო სკოლის სპორტული მოედნის დაზიანებული საყრდენი კედლის გამაგრება და სოფ. სარგვეშის საჯარო სკოლის მოწყობა კარ-ფანჯრების შეცვლა) გამოეყო 153 842 29 ლარი. აღნიშნულიდან გამომდინარე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი იზრდება 153 842 29 ლარით როგორც საშემოსავლო ასევე ხარჯვით ნაწილში.

კომისიამ განიხილა 2022-2023 წელს რეგიონული განვითარების პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი და საკრებულოს მიერ მოწოწნებული საქროექტო წინადადების ნუსხა, კომისიამ მხარი

დაუწირა მერიის მიერ წარმოდგენილ ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას.

კომისიის წევრები ერთხმად შეთანხმდნენ რომ აუცილებელია პრიორიტეტების განსაზღვრა, აუცილებლად უნდა იქნეს დაცული თანაბრობის პრინციპი.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ იმსჯელა და განიხილა „შესაბამისობის აუდიტის ანგარიში“ განიხილა და განაზოგადა ჩამოთვლილი დარღვევები. მაგალითად: საწვავის ხარჯვაზე, შტატების რაოდენობაზე, დარიცხობრივობის შესაბამისობაზე ანაზღაურებაზე იგულისხმება დამატებით ანაზღაურებაზე. „შესაბამისობის აუდიტის ანგარიში“ შეეხო 2019-1021 წლებს 23 მუნიციპალიტეტის შემოწმების სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვების შესაბამისობის აუდიტს. მივლინების პროცესში არსებული ნაკლოვანებები. წარმომადგენლობითი ხარჯები. შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულთა დადგენილი ნორმების დარღვევა. შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის ხარვეზები. საკრებულოს წვრებზე დაუსაბუთებლად ანაზრაურებული ხარჯი. საკონსულტაციო მომსსახურეობის შესყიდვების ხარვეზები საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ იმსჯელა და განიხილა შიდა აუდიტის სამსახურების საქმიანობის ხარვეზები. მუნიციპალიტეტში შექმნილია შიდა აუდიტის სამსახური, რომელიც დაწესებულებების სხვა სუბიექტებისგან ფუნქციურად დამოუკიდებელია. აუდიტის სამსახურს არ აქვს შესრულებული წლიური გეგმით გათვალისწინებული აუდიტორიული

შემოწმებები, რაც გამოწვეული იყო პანდემიით და კადრების სიმცირით რაც დღეის მდგომარეობით გასწორებულია.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ ინფორმაციის გაცნბის მიზნით იმსჯელა სარეზერვო ფონდის თანხების განკარგვაზე. აღმოჩნდა შემდეგი მდგომარეობა:

2022 წელში გამოყოფილი თანხა შეადგენდა მთლიანად 93 500 ლარს, გაიხარჯა შემდეგი რაოდენობით და რიგითობით.

1. 5000 ლარი- ერთჯერადი ფინანსური დახმარება
2. 31329 ლარი -სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახარების პროგრამა
3. 18 650 ლარი - სტიქიის შედეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე ოჯახების დახმარების პროგრამა.

სულ -54 979 ლარი

2023 წელში გამოყოფილი თანხა შეადგენდა 80000 ლარს. განაწილდა-გაიხარჯა შემდეგი რაოდენობით.

1. 4750 ლარი- სტიქიის შედეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე ოჯახის დახმარების პროგრამა
2. 8000 ლარი- ერთჯერადი ფინანსური დახმარება

3. 5000 ლარი- სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა
4. 26647 ლარი- კანალიზაციის სისტემის განვითარება(სანიაღვრე არხებისა და მდინარის ნაპირსამაგრების მოწყობა)

სულ- 44 397 ლარი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ იმსჯელა და დაწვრილებით განიხილა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის პირველი კვარტლის ბიუჯეტის შესრულების პარამეტრები. პირველი კვარტლის ბიუჯეტის გეგმამ შემოსულობების ნაწილში შეადგინა 42 95 000 ლარი, მიღებულია ფაქტიურად 26 63600 ლარი შემოსულობების კვარტალური გეგმა შესრულებულია 62%. გადასახადები დაგეგმილი 2 35 0000 ლარის ნაცვლად მიღებულია 17 62 000 ლარი. დაგეგმილის 75% რაც გამოწვეულია წინა წლებში მიღებული ქონბის გადასახადიდან 245 800 ლარის უკან დაბრუნებით. ქონების გადასახადის მსხვილი გადამხდელები არიან საქ. რკინიგზა და შ.პ.ს ჰუნანის გზებისა და ხიდების კომპანიის ფილიალი.

პირველ კვარტალში დ.ღ.გ 22 00000 ლარიდან მიღებულია 2 00 81 00 ლარი გეგმის შესრულება 91,3 %. 2023 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვრა 20 877700 ლარით. ხარჯები გაწეულია 69,3%-ით შესრულების დაბალი პროცენტი გამოიწვია არა დაგეგმილი სამუშაოების შეუსრულებლობამ არამედ შესრულებული სამუშაოების აუნაზღაურებლობამ.

საანგარიშო პერიოდში კომისიას არ დაჭირვებია და არ მოუწვევია ექსპერტები და სპეციალისტები.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ მერიის წარმომადგენლებთან ერთად იმსჯელა გაანალიზა და შეაფასა რა თქმა უნდა გადატანითი მნიშვნელობით ყველა ბიუჯეტის განხილვის საკითხზე არსებული შენიშვნები და პასუხები რაც თან ერთვის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ანგარიშს.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში უმრავლესობასთან ერთად კონსტრუქციულად მონაწილეობენ კომისიის ოპოზიციონერი წევრები მათი ჩართულობა კომისიაში მიმდინარე მოვლენებში მნიშვნელოვანია.

კომისიის წევრებს რა თქმა უნდა გაგვაჩნია განსხვავებული პოზიციები გვიწევს კამათი მაგრამ არასოდეს გამხდარა კომისიის საქმიანობის და გადაწყვეტილებების ხელშემშლელი გარემოება.

კომისიის წევრები ვესწრებოდით მუნიციპალიტეტის სოფლებში გამართულ შეხვედრებს, სადაც მოსახლეობის გადაწყვეტილებით შეირჩა პრიორიტეტები და გადანაწილდა შსაბამისი დაფინანსებები სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში .

კომისია სამუშაო გეგმის მიხედვით წლის ბოლომდე კვლავ განახორციელებს თავის კომპეტენციის ფარგლებში საქმიანობას. რათა უფრო მრავალმხრივი და ეფექტური გახდეს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მუშაობა.

კომისია აქტიურად ტანამშრომლობს საკრებულოს ფრაქციებთან და საკრებულოს სხვა კომისიებთან. ჩავატარეთ რამდენიმე ერთობლივი სხდომები.

საკრებულოს აპარატი სათანადოდ აგვარებს კომისიის ორგანიზაციულ-ტექნიკურ საკითხებს.

არასოდეს ჩაშლილა დაგეგმილის კომისიის სხდომა ქვორუმის არ არსებობის გამო.

საფინანსო- საბიუჯეტო კომისია დროულად რეაგირებს საკრებულოსა და საკრებულოს ბიუროს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე.